

832

1974



თამაშო საბ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთობი გიურისი.

Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

ჩვენი

დროის

"NOTRE DRAPEAU"

დაახსებულია ნოტ უორდანის გიორ.

Nº 82

შინაგანსამართლებულობა

მიმართვა ქართველ ერს.

6. უორდანია.

50 წელი.

თავდადებული

ამირანი.

ქართული მიწა ძელებით აიგო (ლექსი)

გ. უაფიანი.

შავალითი გმირობისა

3. სარჯველაძე.

დიქტატურა და ხალხის კეთილდღეობა

ა. ბადრიძე.

ირ. წერეთელის ძეგლის გახსნა

ბ. მელუა.

გმირი მებრძოლის ხსოვნას

3. ს.

ვისთვის იყო ეს საჭირო.

სათვისტომოში, სამგლოვიარო და სხეული.

მიმართვა ჩართველ ერს *

საქართველო აჯანყდა.

საქართველო დამარცხდა!

აი ორი უდიდესი მოვლენა, რომლის მსგავსი საქართველოს არ განუცდია კარგა ხანია.

საქართველო ხშირათ აჯანყებულა ისტორიულ წარსულში სპარსთა უღელის წინააღმდეგ.

მას არა ერთხელ ამოუღია ხმალი თავის თავის, თავის ვინაობის დასაცავად.

ქართველი ერი მუდამ ბრძოლით მოდიოდა სიცოცხლის გზაზე. ის ხან მარტინებოდა, ხან იმარჯვებდა. დამარცხება მას გულს არ უტეხდა. გამარჯვება არ აბრევდა.

და აი ერთი საუკუნის მოსკენების შემდეგ, მის ხელში ხმალმა კვლავ გაიელვა, ის ამეტყველდა ძველებურათ, ქართველურათ და ქვეყანას ამცნო თავისი ფაქრი და მისწრაფება მამაცურათ.

რა თქვა მან?

ქართველმა ხალხმა სისხლით დასწერა ცხოვრების ფურცელზე. რომ მას სურს იყოს თავის თავის პატრონი, თავის ქვეყნის ბატონი. ხალხი დგება და ეპატრონება აალაუფლებას.

ბორჯილ დადებული დემოკრატია ამტვრევს ჯაჭვს და აცხადებს თავისუფლებას.

ეს არის უალრესათ ხალხური აჯანყება.

ხალხის გამარჯვება, ხალხის გაბატონება, თავის-თავათ ნიშავეს მოსკოვის საქართველოდან განდევნას. დაქარგული სახელმწიფოს აღდგენას.

საკუთარი სახელმწიფო — აი რა მოითხოვა აჯანყებულმა ერმა.

ეს არის უალრესათ ეროვნული აჯანყება.

თავისუფალი საქართველო თავისუფალი ხალხით — მედვრად გაისმა ქვეყნად აგვისტოს გასულს და ამ ყიუნაშ შეაშფოთა ერთნი, გაახარა მეორენი.

შეაშფოთა ბნელის მოციქული მოსკოვი და მისი ლაქირავებული აგენტები.

*) ამ წერილით მიმართა ქართველ ხალხს მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანიამ აჯანყების შემდეგ: ნოემბერში 1924 წ.

გაახარა ყველა დანარჩენი, მთელი კაცობრიობა სი-
 მართლის და თავისუფლების მოტრფიალენი.

მოსკოვმა ნიღაბი საქვეყნოდ აიხადა და დაფარული
 სისხლიანი პირი დასანახავათ გახადა, ის წინეთ კიდევ
 ბოლიშობდა, ძველი რეჟიმის დამცველი გვაიძულებენ
 ტერორს შიგმართოთ.

ახლა კი გამოჩნდა რომ ერს და დემოკრატიას ის ეომე-
 ბა გაცილებით უფრო მქაცრათ, გაცილებით უფრო შეუბ-
 რალებლათ. ადამიანის და მოქალაქის უფლების მოთ-
 ხოვნაზე მან საქართველოს უპასუხა მასიური ჯლეტით,
 უმანჯო სისხლის მდინარეებით.

საქართველოს დაპყრობით ბოლშევეკები გაკიტრდა
 პოლიტიკურად; ის დაადგა მეფეთა საგარეო პოლიტიკას.

საქართველოს აჯანყების ჩატარებით ის გაკიტრდა
 მორალურათ. მან გადააჭარბა ყველა თვითმშეკრიბელთა
 მტარვალობას.

ისტორიის შავ დაფაზე აღბეჭდილა პოლონეთის უჯან-
 ყების (1863 წ.) ჯალათი მურავიოვი. მარა ეს პირი უმან-
 კო ბალტია შედარებით საქართველოს დღევანდელ ჯა-
 ლათებთან, სტალინ-ორჯონიკიძეებთან. ამათ დააცენეს
 ქართველი ხალხის სისხლის ტბა და შიგ ცურაობენ სი-
 ცილჩარხარით.

სანამ ქვეყნად იქნება ქართველი ერი, მისი გულიდან
 არ აღმოფხვრება ეს საშინელი ხვედრი.

დავიწყების ზეწარი გადაეფარება ლანგთემურის შე-
 მოსევას, შახაბაზის აკლებას. არ დაივიწყება შეხლლდ
 სისხლის მსმელთა ბრძოლების საქართველოში გოდ-
 ლათებული. სიმხეცე მათი გაუგონარი საუკუნოებს გა-
 დაეცემა.

დღეს ქართველი ერი გლოვის ძაბებშია გახვეული. ის
 დასტირის ვერაგულათ დალუპულ საუკეთესო შეილთ.
 მოიგონეთ ძეელი თქმულება: ჭირსა შიგან გამაგრება ისე
 უნდა ვით კეითკირს! ნუ სტირით, მომავალი ჩვენია!

გადახედეთ ჩვენს ისტორიის; სადღა არიან საქართ-
 ველოს ძეელი მტარვალნი? უამთა ბრუნვამ მათ გაუთხა-
 რა საფლადი.

მახვილის ამლებნი მახვილით დაეცემიან. ამ განაჩენს
 ვერ ასცდება მტარვალი...

ქართველ ხალხს დღეს მართებს მოთმინება, გამაგრება
 და მომავლისკენ იმედიანათ გახედვა.

შისთვის მოსკოვი სამუდამოთ მოკვდა. ახლა პრმასაც
 კი აეხილა თვალი და დაინახა სისხლით დამთვრალი ტი-
 რანი. ჩვენსა და მას შორის უკვე გზა არის კლდიანი.

ქართველი ერი დღეს სამუდამოთ გამთელდა. საერთო
 უბედურების ერთ ემბაზში მონათლული, ის დგას ერთი
 დროშის ქვეშ, ერთი აზრით, ერთი გრძნობით გაეღლენთი-
 ლი. მისი სიმტკიცე მისი ერთობა და ამ დროშისთვის
 ერთგულება მას მიანიჭებს საბოლაოთ ვამარჯვებას.
 მისი მცნება უნდა გახდეს გალილეის გმირული სიტუაცია.
 ის ჯალათის წინაშეც კი უშიშრათ იმეორებდა: „მაინც
 ბრუნავს“ -ო.

დიაბ საქართველო „მაინც ბრუნავს!“ ეს ნათელყო
 ავეისტო-სექტემბრის ამბებზე მსოფლიო გამოხმაურებამ..
 არც ერთ პატარა ერს არ ღირსებია ასეთი საყოელ თაო
 თანავრძნობა. მისი განთავისუფლება უეჭველად მონდება.
 როდის — ეს სხვა საკითხია. აჩქარება არ გვმართებს.
 რაც დრო მიდის მოსკოვი სუსტდება, და უცაკრუ-
 ლისაკენ მიექანება. მისი მესაფლავე წარმოსდგება შიგ-
 ნიდან თუ გარედმიდან — ეს ჩვენთვის სულერთია.
 ორივე შემთხვევისათვის მზათ უნდა ვიყოთ, მზათ უმ-
 თავრესათ მორალურათ, მტერს მტრულად შედმივ
 ბოლომდე.

შიში არ იცის მებრძოლმა ერმა. ერთი დალუპულის
 ადგილას ასი ჩნდება. სულიერ მონობას ჩეეული არ
 არის ქართველობა. ის თავაწეული და თვალშილული მო-
 დის ეკლიან გზაზე. ის იძულებულია დროებით შინო-
 ნის ძალმომრეობა, მარა მას არასოდეს არ აღიარებს
 სასურველ მოვლენათ.

საქართველოს საკურთხეველზე დიდი მსხვერპლია მი-
 ტანილი; იქ ანთებულია ლამპარი სისიხლით მორწყული;
 იქ ირკება გლოვის ზარი; იქ ილოცება წამებულთა წინა-
 შე და იდება ფიცი, ფიცი გაუტეხარი...

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე

6. უორდანია.

ნოემბერი. 1924 წ.

50 წ 0 ლ 0

ორმოცდა ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა სცადა გადაეძრო ეროვნული მონაბის უღელი და დამარცხდა...

ამ ეროვნული გლოვის დღეს მოწიწებით უნდა გავიხსენოთ ვერაგულად დახოცილ მამულიშვილთა ხსოვნა, მათ დაგვიტოვეს დროშა წმინდა, შეურყეველი ნებისყოფა და სიმამაცე შეუდრეკელი. საუკეთესო მებრძოლთა სისხლმა, მტარვალთა და ჩაგრულ ერს შორის აქმართა გარდაუვალი კედელი. 1924 წელს ამოითხარა ორმო გაბატონების მოტრითალე რუსეთსა და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს შორის. ჩენ კარგად ვიცით ფაქტების ლირებულება, ვიცით ბრძოლებმა მდგომარეობა ვერ შესცვალა. მართალია ერის საუკეთესო შეინტერეს განმანთავისუფლებელ ბრძოლის, მაგრამ სრულიად თამამად შეიძლება ითქვას რომ ავესტო საამაყო დატა ჩენი ერის ისტორიაში. 1924 წლის ავესტომდე, ხალხმა გამოიყენა მასიური მოძრაობის ყველა ფორმის ცდები: მშეიდობიანი დემონსტრაციები, გაფილები, მანიფესტაციები თეატრში, სკოლაში, სასაფლაოზე, ქალაქში და ამ მოძრაობას პჰონდა ხასიათი უშუალო, სტიქიური, რადგან იყო იყო ერის გულიდან ამონახეთქი. ბალბის ბუნებრივ მისწრაფებას და სტიქიურ მოძრაობას საკუპაციო მთავრობამ დაუპირისპირისირა ხიშტი და ბომბი, „ჩენა“ და გადასახლება, წამება და ხერეტა. ერის დაუდგრომელი მისწრაფება იავისუფლებისკენ, მისი აღთროვანებული ენერგია იანდათან შეავიწროეს, შეკუმშეს, სისხლიანი რეოლით შემოქალტეს მებრძოლი ერი და აქედან გამოსავალი ერთადერთი იყო — აფეთქება და ეს აფეთქება მოხდა. სტიქიურად, ბუნებრვიად. დამარცხდა უსწორო ბრძოლაში ქართველი ერი, დიდი რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა. მოსკოვმა ლაჩირულად ისარგებლა და სასტიკად ური იმია, საუკეთესო მამულიშვილი გაულეტილ იქნა.

ეროვნული განმანთავისუფლებელი ბრძოლა არ შეწყვეტილა. დროსა და გარემოების მიხედვით ის ლებულობს სხვადასხვა შინაარს, სხვადასხვა ფორმას, უმთავრესია ხალხის გული დარჩეს შეურიგებელი, თავისუფლების მოპოების სურვილი შეურყეველი და განა ამას და-

მამტკიცებელი, უტყუარი ნიშნები არ არსებობენ? განა შეიძლება ეჭვის შეტანა, რომ დამოუკიდებლობის იდეა ცოცხლობს თეთ ხალხში, მასაში?

დიახ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, იგი არასდროს ყო-
 ფილა ასეოი ძლიერი, როგორც დღეს! რასაკვირვებია.
 ვინც იცნობს წერილი ერების ისტორიას, მისთვის
 ცალია, რომ დაპყრობილი ხალხის ბრძოლის გზა მუ-
 დაშ იყო ეკლითა და დიდი დაბრკოლებებით მოყენილი,
 რაც მათ გადაულახაეთ და საბოლაო მიზნისთვის მოუღ-
 წევიათ. საქართველოც ასეთ გამარჯვებას ვერ აცდება.

1924 წლის აგვისტოს მსხვერპლი განისვენებენ საფ-
 ლავში და ეს საფლავია ქართველთა გული, გული თბი-
 ლი და მოსიყავრულე, გული მთელი ქართველი ერის.

1924 წლის მტარევალნი ქართველი ერის ცოლალტენი
 ისხდნენ სასახლეში მონურად, მსხვერპლი კი ავადნენ
 გოლგოთაზე მფეფურად.

ლრმა, იმედიანი პერსპექტივები, რომლებიც ჩვენ
 თველწინ, იქრებიან და ვითარდებიან — ავალებს უროვ-
 ნულ ძალებს, სადაც ისინი არ უნდა იყვნენ გამოაცილი-
 ნონ ქართველი ერის გარდაუვალი სურვილი და მისწრა-
 ფება ეროვნული თავისუფლებისათვის, იბრძოლონ ეროვ-
 ნული სახეობის, ეროვნულ სულიერ და მორალურ სა-
 განძურთა შესანარჩუნებლად, რათა ქვეყანა შეტკლეს
 მომზადებული მოსალოდნელ ქარტეხილს და იქიდან გა-
 მარჯვებული გამოვიდეს...

ამხრივ აგვისტოს გმირთა თავგანწირული ბრძოლა,
 მათ მიერ დატოვებული დროშა — რჩება როგორც ჩაუქ-
 რიობელი ლამპარი, ეროვნული სულის გამძლეობის და
 გამკლავების, დროშა შეურიგებლობის, ქართული მიწი-
 სადმი ერთგულების, რწმენისა და იმედის...

თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ე ნ ი

(უძლვნი გოგიტა ფალავას ხსოვნას.)

... მათი რიცხვი ათასეულია, რომელთა მედგრი ბრძო-
 ლის წინ მიუძღვდა, დროშა სამშობლოს სიყვარულით
 გაშლილი. მათი სანუკვარი სურვილი იყო თავისუფლება
 საკუთარი ოჯახის, თავისუფლება საკუთარი სამშობ-
 ლოსი...

იყო დღენი შავი სუდარით მოსილნი, არასოდეს მათი სასოწარკვეთილება, არამედ მიმქრალ-მიყუჩებულ იშედის კვლავ გაღვიძება, გამკლავებულ ენერგიით ბრძოლის აზეირთება.

დროთა მანძილზე გაისმოდა სიტყვა მჭრელი, იპრძოდა კალამი მკეთრი. სიმართლის ზმას გამოჰყავდა რაზმები მიერდნილ კუთხიდან, აყენებდა ქვეყნის სამსახურში.

იდეური მისწრაფება იყო მათი წინამძღოლი, ხშირად, რომანტიული გატაცებით შემკული. ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო, მათი მოწოდება, შეუწყვეტელი, უანგარო შრომა, მათი სულიერი სიამოვნება.

მათი გული ფერქდა ერის კეთილდღეობისთვის, მისი მომავლისთვის, მათი გონება იყო შეპყრობილი ბედკრულთა და ტანჯულთა დახსნისათვის. დასახულ მიზანთა შისალწევად, ისინი განიცდიდენ ხალისიან გატაცებას ბრძოლის ცეცხლში შეცურებულნი. სიმართლის მოსაპოებლად მოწოდებულნი, — ტანჯვა წვალებაშიც პოულობრნენ სულიერ კმაყოფილებას, ქართველი ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულნი არ ერიდებოდნენ გაჭირებას, ავადმყოფობას, სიცივეს, სიმშილს, ციხეს ციმბირს და სხვა შორეულ გადასახლებას, იტანცნენ ამაყად, გაბედულად, გმირულად, მათში იმედის ნაპერწეალი ღვივოდა ჩაუქრობლად, რადგან მათში იყო უდიდესი თავდადების და იდეალიზმის სულისკვეთება. მებრძოლთა ფანტაზიურ გატაცებას საზღვარი არ ჰქონდა, რითაც თავიანთ ირგვლივ სიყვარულის, თავდადების და მოვალეობის გრძნობებს სთხოდნენ და ზრდიდნენ.

თავდადებულთ იცოდნენ და იციან, რომ ბრძოლის ველი არასოდეს ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, ადვილად საცლელი. იმედით და რწმენით გაკაუებულნი, მედგრად მიბიჯებრნენ ეკლიან გზაზე და ირგვლივ ცერებრნენ ახალ ძალებსა და ერთგულებს.

მათ იცოდნენ, რომ ციური თაღი არ გახსნილა და არც შემთხვევით მობრძანებულა თავისუფლება ქვეყნის, არამედ იგი იყო თავდადებული შრომის, თავგანწირულ ბრძოლების აუცილებელი შედეგი, სხვანაირი ახსნა იქნებოდა უმეტება გონებისა, რადგან ქართველ ერში

ოდიდგანვე ღვიოდა სწრაფვა დამოუკიდებელ ცხოვრების შესაქმნელად.

თუ სამშობლო კვლავ გაეხვია გლოვის ძაძებზი, აგვისტოს გმირთა წამებაში, ხალხის აზვირთებულ გამოსვლაში—გამოჩნდა სიღიადე 26 მაისის, მისი დაბრუნების აღდგნის გარდაუვალი სურვილი. და, სწორედ აგვისტომ ისე ჩამარხა ხალხის გულში 26 მაისის სიღიადე, რომ იქიდან მის ამოგლეჯა არავის ძალუძს... იგი ცხოვრობს იმედით, რომ ერთს დღეს გულში ჩამარხული დროშა სამფეროვანი გაიშლება და გაბრწყინდება...

ეამთა განსცდელისა, ერის მძიმე სატკიცართა ფონზე, ყოფილა, არის და იქნება გულგატეხილნი, სულწასულნი, მოუთმენელნი, ქედმოხრილნი, გაბატონებულის წინაშე მუცლით მხოხავი კალმისანიც, წარჩინებულიც დიდი და პატარაც, მაგრამ ამავე დროს თავდადებულთა გულიდან იმედისა და რწმენის ნაპერწკლები, ვითარცა ცეცხლის ალი მოსდებია, თავისუფლებისაკენ სწრაფვა გაზრდილა, აზვირთებულა...

აგვისტოს გმირთა თავგანწირვა და ერთგულება რჩება, ვითარცა ბრწყინვალე მაგალითი, სამშობლოს თავისუფლების ტყვეობიდან დახსნისა.

მათი რაინდული სული დასტრიალებს ფირუზად მორთულ საქართველოს მთა-ველებს, იმედის კვავილებს აფრიცევს მტრისაგან მალულად გათხრილ საფლავებზე, საღაც ლაჩრული ხელით განგმირულ თავდადებულ ქართველთა ძვლები განისვენებენ...

მათი ხსენის დავიწყება ქართველობას არ სწევია, არამედ მათი სიყვარული მუდამ გულში უტარების, რათგან მიტოვებული იარალი ახალთაობას ხალისით ხელში ულია და ბრძოლა გაუგრძელებია.

გმირთა სახეები ცოცხლებისათვის სატარებელი ხატია... სათაყვანებელი და მუდამ მოსავონარი.

ამირანი.

ძართული მიზან ქვეყნის აიდეო

შეფერხულო გუნდი მტერს შეემიზნა,
 ცამ გადასახა ვაზისა ჯვარი,
 გულს ამოპქონდა ქვეყნის ღიდება,
 ვით უცოდველი თეორი ხანჯალი.

ქართული მოდგმა სიმართლით მძლეობს,
 ქართული სისხლი, დედის აკვანი,
 იწევდა მტერზე მხნე საქართველო,
 ერთი კაცი ნაქანდაკარი.

ამხედრდა ხალხი გარედ და შიგნით,
 სოფლები იქცა ცეცხლის ძალებად,
 რუსული ხიშტით ღმე ნაშიგნი,
 ჩამოდიოდა სისხლის ღვარებად.

ბრძოლაში მოკლეს სოფლელი ბიჭი,
 დახრილი მთები კრეფდენ იარაღს,
 გამარჯვებაში არ იყო იჭვი,
 მაგრამ ქალაქმა დაიგვიანა.

იმ ბნელ ღამეში საბურთალოზე,
 იღვა სიიშუმე და დროთა ხიდი,
 მიწა ბადებდა შავ ანგელოზებს,
 საუკუნეთა დგებოდა რიგი.

ბრძანება — ცეცხლი — სიტყვა შეჩერდა,
 განვების ძალამ ღაიშუო ღელვა,
 ხელებ გაკრული ტუსაღებიდან
 ცამ შეიბიზნა ქვეყნის სიმღერა:

ჯალათებო! დავეცემით,
 დავეცემით ტანჯულ მიწას,
 დედა ღმერთის თეორი ცრემლი
 ჩვენ მიგვიღებს, არ გაგვწირავს.
 გევედრებით მეუფეო,
 წმინდა ქვეყნის საღმრთო რჯულსა!
 ნუ გასწირავ ჩვენს ქვეყანას,
 ქრისტეს ჯვარით დატანჯულსა;
 თვალ წინ უხედავთ სასაკლავოს,
 ძელებში აქნილ განსაცდელსა,
 გაუმარჯოს საქართველოს!
 გაუმარჯოს ქართველ ერსა!

ტყვიაშ დაცხრილა ხმა სამაისო,
 სიკვდილის შიშით გადაუმშრალი,
 ქართული მიწა ძვლებით აიცხო,
 ქართული მიწა ნაჯაშუშარი.

დამგლოვიარდა დროშა სამფერი,
 დამარცხდა ჯარი თავს არვინ ხრიდა,
 გადაიმალა გულში ქართველი,
 გულ დაისრული თებერვლის დღიდან.

ბრძოლა მომავალს გადაეხიზნა,
 გამარჯვებული იდგნენ ბრძოები,
 ამოეფარა სამშობლო მიწას
 ათი ათასი აგვისტოელი.

ალარც მზე იყო და ალარც მოვარე,
 ღამე ეკიდა შავი რქებივით
 და ჯალათები ქალაქის გარეთ
 მოსჩანდნენ მრავალ წერტილებივით.

გ. ყიფიანი.



მაგალითი გმირობისა

(აგვისტოს გამო.)

უნგრეთის სასახელო შვილი, მსოფლიო პოეზიის ერთი ბრწყინვალე ვარსკელავი შანდორ პეტეფი, თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში — გმირულად დაიღუპა. საყოველთაოდ ცნობილია მისი სიძულვილი ძალმომჩეობის, ტირანიის, დესპოტიის მიმართ. მისი მქუჩარე ხმა, მისი პოეზიის მჭრელი სიტყვები გაისმოდა უსამართლობის წინააღმდეგ აღამიანთა და ხალხთა უფლების მოსაპოებლად.

და აი ეხლა, როცა საბჭოთა დესპოტიაში მის პიროვნებას ისაკუთრებენ. მის სადიდებლად და საქებრად წერილებს თხზავენ, განა ეს დაცინვა არაა ამ მებრძოლის იშვიათ პიროვნების? ჩვენთვის ეროვნულად ჩაგრულ აღამიანებისათვის, ვფიქრობთ უაღრეს ინტერესს წარმოადგენს;

უნგრეთის ეროვნული გმირის ცხოვრების, მოკლედ მანცც გაცნობა.

შანდორ პეტეფი უსახსრობის გამო სასწავლებლიდან ღათხოვნილი ეწერება მოხეტიალე არტისტთა ჯგუფზე, დადის სოფლიდან-სოფლად, სიმღერითა და დეკლამაციით იჩინებს თავს. ამავე დროს ეცნობა ბატონყმურ ცხოვრებას, ხდება ჩაგრულთა მედგარი დამცველი, ფიცს სდებს შეებრძოლლს არსებულ ეროვნულ და სოციალურ უსამართლობას და ემსახუროს დაჩაგრულთა განთავისუფლების საქმეს.

1848 წელს, უნგრეთში გაისმა სასტიკი პროტესტი უცხო ბატონობის წინააღმდეგ. უნგრეთის სენატში, რომელიც თათბირობდა პრესბიტრეში, ისტორიულ სიტყვით გამოდის ოპოზიციის მეთაური კოშუტი, ის მოიხვევს შემდგარი იქნას უნგრეთის მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უნგრეთში არჩეულ პარლამენტის წინაშე. კოშუტის პროგრამა გადაეცა უმაღლეს სენატს. სადაც არისტოკრატიული წარმომადგენლობა ზანტად შეუდგა მის განხილვას. მართველ წრეებისადმი მოდიოდა ხმები, რომ ახალგაზრდა პოეტის პეტეფის მეთაურობით დაიწყო მოძრაობა, რომელიც მოიხვევს კოშუტის მიერ წამოყენებულ ეროვნულ - პოლიტიკურ მოთხოვნილების განხორციელებას. ვენა დიდ იმედებს ამყარებს დუნაის ნაპირებზე დაბინავებულ ჯარებზე.

შექმნილ მდგომარეობით სარეგებლობს უნგრელი სტუდენტები; ვენის უნივერსიტეტზე ახდენენ უდიდეს დემონსტრაციას და კითხულობენ უნგრეთის ხალხის მოთხოვნილებებს. ეს მოძრაობა გადადის ბუდაპეშტში, პეტეფი ამ დროს სოფელშია...

„მე ვიყავი სოფლად, — ამბობს პეტეფი, როცა გაისმა ხმა გამანთავისუფლებელ მოძრაობისა, მან დაისყრო ჩემი გონიერა, ჩემი გული და სული, ააფორიაჭა ჩემი გრძნობა, უცემ წამოვარდი, საჩივით დავესვე და დავიყვრო: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს დამოუკიდებელ უნგრეთს!“

ახალგაზრდობისაგან მოწვეულ, ნაციონალურ მუზეუმის ეზოში, მრავალრიცხვოვნ მიტინგზე პეტეფი კითხულობს თავის რევოლუციონურ ლექს, „აღსდექით მაჟიარებო!“ და აცხადებს 12 მუხლისგან შემდგარ ბროვერ-

ნილებებს. ნაშუადლევს ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტი გამოდის ამ მოთხოვნილებების დამცველად, აქვე დგება სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან რევოლიუციონური კომიტეტი. ამავე დროს პრესბურგიდან სენატი განძოდის ბუდაპეშტში, დგება დროებითი მთავრობა და ფაქტიურად ცალდება უნგრეთის დამოუკიდებლობა.

ვენის აპარატი ამჟავდა. ვენიდან დაიძრა ჯარები, რამაც გამოიწვია ბუდაპეშტის დროებით მთავრობაში განხეთქილება, მოძრაობას ჩამოსცილდა წარჩინებული არის-ტოქარია; ერთი მათი წარმომადგენელი რუსეთის მედუსთან გაიქცა, რათა აჯანყების ჩაქრობაში მას გახსარება გაეწია. ბევრმა მათვანმა მიიღო თანამდედობა, მაგრამ ხალხი ვენას არ დანებდა. ბრძოლა გაავრძელა.

ვენის მთავრობა მიმართავს პოლონეთში მყოფ რუსის გენერალ პასკევიჩს, სთხოვს მას განმარებას. რუსოთის პელმშითვე დასტურს აძლევს და აცხადებს, რომ ის აგზავნის ჯარებს უნგრეთში, სადაც თავი მოიყარეს 1832 წელს პოლონეთიდან გაძავებულებმა, დევნილებმა და იქ მთავრობა დაარსეს.

უნგრეთის დროებითი მთავრობა იქნა შევსებული, გამაურებული და წინ აღუდგა რუსის ჯარებს, საქცეუნოდ ამხილა უცხო სახელმწიფოს ჩარევა უნგრეთის შეჩაურს საქმეებში და აღიარა, რომ უნგრეთის ხალხი თავს არ მოიხრის პეტერბურგის თვითმყრობელობის წინაშე და გააგრძელებს ბრძოლას დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის.

კოშუტმა სთხოვა დახმარება უცხოეთს, მაგრამ ვერსად დამამარება ვერ პლოვა. ორმა პოეტმა სცადეს გაეღვიძებიათ კაცობრიობის სინდისი. პირველი იყო პეინე, რომელმაც ამხილა უნგრეთის ერის წვალება-ტანჯკა, პოუწილდა განათლებულ კაცობრიობას ამდგარიყო თავისუფლების დასაცავად.

პეტეფმა თავის პათეთიურ მიმართვაში გამოსთვევა, განაწამები ხალხის უდიდესი გულისტკივილი და წურიმა:

„ევროპაში სიწყნარეა, მასში ჩაქრა რევოლიუციონური ცეცხლი. სირცევილი, რაღაც მათ სიჩუმეში არ მოსჩანს სურვილი, სიყვარული თავისუფლების, — ლაზრულად მიტოვებულ უნგრელებს მაგრად უჭირავთ ჩმალი ბახვილი. გული არ უნდა ვავიტეხოთ!

„მაშინ, როცა ირგვლივ

ჟველის ძინავს ღამის სიბნელუში,

შეძოვებედე, შემოგვეხედე თავისუფლებაც,

იცანი ხალხი შენი.

მაშინ, როდესაც ცრემლებსაც არ ღვრიან:

ჩვენ მსხვერპლად მოგვაქვს სისხლი ჩვენი.“

პოეტი პეტეფი სოხოვს კოშუტს გავზავნილ იქნას ჯარში გენერალ ბერთან, რომლის ჯარი, უმთავრესად შეღებოდა მოხურა ახალგაზრდობიდან, გლეხებიდან, სოფლის დედაკაცებიდან, რომელიც ჯერ კიდევ უმკურდებიან მტერს ტრანსილვანიაში.

პეტეფი დიდი ალტაცებით მიიღეს ჯარში, გენერალი გადაეხვია და გადაკოცნა იგი, რომელიც მიუხედავად გენერალის უარისა, ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

გენერალი ბერი ხუთი ათასი უნგრელით გაუშკლავდა 16 თასამდე კბილებამდე შეიარაღებულ რუსის ჯარს და შეინარჩუნა პოზიციები. გენერალმა გასცა პრძანება, პოეტისთვის ჩაეცმიათ სამოქალაქო ტანისამოსი და გაეყვანათ ბრძოლის ველიდან. პეტეფი განკარგულებას არ დაემორჩილა და ჩადგა მოწინავე ხაზზე . გიჩალდა საშინელი უთანასწორო ბრძოლა. თითოული უნგრიელი, ქალი, კაცი ლომებიერით იბრძოდნენ...

მცირე რიცხოვანმა ჯარმა ველი გაუძლო მრვალიცხოვანს და დაიხოცა ბრძოლის ველზე... დაჭრილთა იმედგაცრუებულთა ყიუინა აყრუებდა მიდამოს, ისმოდა ხმები: „ძირს ჯალათები!“ „ვკვდებით სამშობლოსათვის!“, „გაუმარჯოს უნგრეთს!“ რუსებმა ათასობით მკვდარი და დაჭრილები ორმოში ჩაყარეს და მიწა მიაყარეს.

ერთ ორმოდან წამოვარდა დაჭრილი და დაიყვირა: „მეცოცხალი ვარ, რას ჩადიხართ!“ და უცებ მისი ხას შეწყდა. ეს იყო შანდორ პეტეფი გმირი უნგრელი პოეტი.

**

როგორც 1848 წლის, ისე 1956 წლის უნგრეთის ხალხის აჯანყებას ერთი დანიშნულება ჰქონდა. მის დროშაზე ეწერა უცხო ძალის განდევნა, დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოს დაფუძნება.

1956 წელს, როცა ბუდაბესტის ქუჩებში უნგრელი პატრიოტული ახალგაზრდობა, სამშობლოს განთავაზუფ-

ლების სურვილით გაკაუებული მოსკოვისაგან შემოსეულ ტანკების ცეცხლში კვდებოდნენ, ტანკის აფეთქებასთან ერთად სიცოცლეს ესალმებოდნენ, ანთებულ ცეცხლში იწვოდნენ, უკანასკნელ სულის ამოსვლამდე, მათ გულის სიღრმიდან — ისმოდა რევოლუციონური სიმძრა გმირ პოეტის დატოვებული, რომელიც გახდა უნგრეთის ხალხის ბრძოლის სიმბოლო, თავისუფლების დროშა... საუკუნის უკან პოეტის ყიფინა თითოულ უნვრელის გულში ჩაიმარხა, მის გულის ფიცარზე ჩაიწერა თაობიდან თაობას გადაეცა.

1956 წელში, ისე, როგორც 1848 წელს, როცა უნგრეთის რუსის ჯარები შემოესია, ხმა პოეტისამ ვითარცა მძლავრ ქარიშხალმა ქალაქის ყოველ კუთხეში დაიგრევინა:

“აღსდექით უნგრელნო!
 ახლოვდება დღე თავისუფლების,
 ან ახლა ან არასოდეს,
 შევფიცოთ, დავამსხერევთ ბორკილებს მონობის,
 ვიქებით თავისუფლები არასდროს მონები.
 გაკიცხა მათ ვინც სიკვდილს უშინდება,
 სირცხვილი მათ ვინც სიკვდილ ერიდება,
 გაკიცხა მათ ვინც სამშობლოს ხსნას
 მსხეურბლად არ დაედება,
 უნგრეთი დიდებით შეიმოხება,
 წარეცხავს მტრის ტალღას
 და მკვრეთით აღსდეგება.“

უნგრეთის ხალხი ორჯერ ეკვეთა რუსის ჯარს შანდორ პეტეფის რევოლუციონური — პატრიოტული სიმღერით. გმირი პოეტის შემოქმედების ნაყოფი, მისი თავ-განწირული ბრძოლა, რჩება ვითარცა ჩაუქრობელი ლამპარი, გზას რომ უნათებს ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლებს.

3. სარჯველაძე.

დიპტატურა და ხალხის კეთილდღეობა

ხელისუფლების დაპატრიონებისთანავე ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი: „კომუნიზმი ეს არის საბჭოების ხელისუფლება და ელექტროფიკაცია“. წინააღმდეგ შემთხვევაში, — მიუთითებდა ლენინი, ჩვენი ქვეყანა, წვრილ გლეხურ ქვეყნად დარჩებათ. აქედან ერთად-ერთი მატერიალური საფუძველი უნდა იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც შეუძლია მიწადიაქმედების გარდაქმნა“. იმავე ხანებში ლენინი, ერთ თავის მოხსენებაში აღიარებდა: „რუსეთისთვის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქ მრეწველობისა, არამედ მძიმე ინდუსტრია, თუ საამისოდ სუბსიდიები არ გამოინახა, ჩვენ როგორც ცივილიზაციული სახელმწიფო, მე უკვე აღარ ვამბობ სოციალისტურსო, — დავილუპებითო.“ ლენინის ბოროტი გენია, ალბათ, წინასწარ გრძნობდა რომ ამ ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყნაში, ოქტომბრის ექსპრიმენტებს არავითარი შანსი არ ჰქონდა და ითვალისწინებდა მძიმე ინდუსტრიის გზით, რომელსაც უნდა მისცემოდა სამხედრო ხასიათი, შეინარჩუნებდა ხელისუფლებას. ეს ასეც მოხდა.

სტალინმა ტახტზე ასვლისთანავე განვითარა აზრი, რომ ხსნა არის მსხვილ ინდუსტრიის განვითარებაში, სასოფლო მეურნეობისა და საკუებ მსუბუქ მრეწველობის ზარჯზე. მან ფიზიკურად გაანადგურა ბუხარინ-კამენევ-ზინოვიევის ოპოზიცია, რომლებიც ურჩევდნენ, ქვეყნის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის უპირატესობა მიცემოდა, საკუებ-სასოფლო სამეურნეო მდგომარეობაზე ზრუნვას. სტალინმა გაელიტა 60 ძილი-ონი მცხოვრები და გაატარა კიდეც ინდუსტრიალისაცია, მაგრამ მისი გამოყენების პოლიტიკა დასავლეთში და საბჭოეთში სხვადასხვა შინაარსის არის და უკანასკნელში მაინც მას აქვს განსაკუთრებული ხასიათი.

გარკვევისათვის მიემართოდ ქართულ პრესას, რომელიც ერთგულად ასრულებს მოსკოვიდან მიღებულ ინსტრუქციებს. ჩვენ ხელთ არის გასული წლის „მნათაბის“ მე-10 ნომერი, რომელშიც პროფ მაისურაძე წერს, შემდეგს: „საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის გამოყენების შეთოლი ძირებულად განსხვავდება კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციის შეთოდისაგან. პირამიდები და ძველი სამყა-

როს უდიდესი ნაგებობანი, მრავალი მონის ძვლების ფა-
 სად შეიქმნა. ინგლისის, ამერიკის შეერთებულ შტა-
 ტების, საფრანგეთის და სხვა იმპერიალისტურ სახელმ-
 წიფოთა ინდუსტრიალურ-ტეხნიკური განვითარების სა-
 ფუძველი იყო აზის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის დამო-
 ნებულ ქვეყნების ექსპლოატაცია და კოლონიალური
 ძარცვა-გლეჯა. ბურუუაზიული ქვეყნების ინდუსტრიალი
 ზარის ერთ-ერთი წყარო იყო აგრეთვე დამპურობელი
 ოშები.“ ათავებს პროფესორი. ისტორიული სინამდვილე
 სხვა გვარად გამოიყურება ვინებ ამას გვიდგენს ბ-ნი მაი-
 სურაძე. არავინ უარყოფს, რომ ზემოხსენებული ქვეყ-
 ნები მართლაც ფლობდნენ კოლონიებს და უსათუოდ
 სარგებლობდნენ მათი ბუნებრივი სიმდიდრით, მაგრამ
 ისიც ხომ მართალია, რომ მათი კოლონიალური პოლი-
 ტიკა განსაზღვრულ დროში იყო პროგრესიული, რამ-
 დენად მფლობელ სახელმწიფოთ, მათში შეჰქმდათ ცოდ-
 ნა, განათლება, ტეხნიკა, რამაც კოლონიალურ ერები სა-
 შუალება მისცა კულტურულად, პოლიტიკურად და
 ეკონომიკურად მიეღოთ გათვითცნობიერება და წარმა-
 ტება, რის საფუძველზე დაიწყო ეროვნულ-განმათავი-
 სუფლებელი მოძრაობა, რის გამოც ზოგიერთი სახელ-
 მწიფონი ნებაყოფლობით, ზოგიც ბრძოლის შემდეგ ან-
 თავისუფლებენ კოლონიებს, ანიჭებენ მათ დამოუკიდებ-
 ლობას, ჩეხებიან ამათთან ეკონომიკურ კავშირში და ეხმა-
 რებიან ფინანსიურად აღმშენობლობის საქმეში. შეუძლია
 კი კრემლს და მის დამცელთ. სხვებს დააბრალია ჩაგ-
 ვრა მცირე ერების, ისიც. წარსულ საუკუნეებში, რო-
 ცა მე-20 საუკუნეში მოსკოვმა არა ერთ განათლებულ
 ერს მოუსპო თავისუფლება და ჩააყენა კოლონიალურ
 მდგომარეობაში? ეს არ აწუხებს ბ-ნ ბროფესორს.

მართალია ინგლისში მე-17 საუკუნეში მომწიფედა ინ-
 დუსტრალიზაცია, კაპიტალი გამყვლეფის როლში ვამო-
 ვიდა, რის წინააღმდეგ ამხედრდა საზოგადოებრივი აზ-
 რი, მაშინდელმა კონსერვატორულმა მთავრობამ სპეცია-
 ლური ინსპექტორები დანიშნა, შრომის ბოროტად გა-
 ძოყნების მოსაპობად. ვეკითხებით ბ-ნ მაისურაძეს,
 დაუშვებს საბჭოთა მთავრობა, რამე საპრატესტო გა-
 მოსვლას, კრიტიკას, თუნდაც ინდუსტრიალიზაციის გა-
 მოყენების პოლიტიკის გამო?

საბჭოეთში უპირატესობა ენიჭება სამხედრო ცნულებრიას. სამი მეოთხედი სახელმწიფო ბიუჯეტისა ჩარდება საომარ იარაღების დამზადებას. ერთი ამტკიცელი შეცნიერი ამბობს: „მეცნიერების საშუალებით შესაძლებელია ინდუსტრიალიზაციის ჩატარება, მაგრამ მისი მოწმარება კონტროლის გარეშე, წარმოადგენს კაცობრიობისთვის საშიშროებას“ - თ.

სრული კეშმარიტებაა. ჩვენ შეგვიძლია მოვიყეანოთ შემდეგი შედარება: კანადა 50 წლის უკან გაჭირებით კვებავდა 4-5 მილიონ მცხოვრებთ, დღეს კი ტეხნიკის განვითარების საფუძველზე კვებავს ხუთჯერ შეტანილობით და აგრეთვე გააქვს გარედ ხორბლეულობა, და ამავე დროს დარჩა პაციფისტური, დამცველი მშეინაობიანობის. ხოლო ჰიტლერის პოლიტიკამ, როსტელმაც გამოსტედა საომარი, ტეხნიკური იარაღები, ხუთი წლის განმავლობაში ტერორის ქვეშ ყავდა დაყენებული კაცობრიობის დიდი ნაწილი. თუ ინდუსტრიალიზაცია (უმთავრესად სამხედრო) საშიში იყო შევი დიქტატურის ხელში, იგი არა ნაკლებ საშიშარია წითელი დიქტატურის განკარგულებაში. ყველა დიქტატურის — იმპერიალისტური ბუნება განუსაზღვრელია, მას უკან დახევა აღარ შეუძლია, მის საგარეო პოლიტიკაში ჩაქანოვილია სურვილი განდიდების, სხვებზე გაბატონების.. იგი გამართლებულია ნიშანში ამოღებულ ერის, თითქმ, ნებაყოფლობით, — საბჭოური წყობილების მისაღებად. ასეთი შინაარსის გათამაშება მოხდა კორეიაში, ინდო-ჩინეთში, ახლო აღმოსავლეთში და ჩვენ თვალწინ ჩეხელოვაკიაში, ყველაზე აღრე კი კავკასიისა და ბალტიის ერების მიმართ...

სხვადასხვა მიღებით, თანაარსებობის საფარის ჯვეშ, ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება. აი რატომ არ შეუძლია დიქტატურას მძიმე ინდუსტრიას ფრთხები უსუკვეცოს რომელსაც სახელმწიფო სალაროში არაგრძელი შეაქვს, ან უმნიშვნელო და საბოლოო ანგარიშით სახელმწიფო ბიუჯეტი მძიმე ტვირთად აწვება ხალხს!

არიან კალმოსნები, რომლებიც ამტკიცებენ რომ სტალინი არ ყოფილიყო რუსეთი ვერ ელირსებოდა ამდენ ფაბრიკა-ქარხნებსო. სრული სიბეჭეა. რუსეთი დაუმუშავებული ქვეყანა, ნედლი მასალით საქმაოდ მდიდარი,

განა ცდებოდა დღევანდელ ეპოქაში, ინდუსტრიალურ ვანებითარების გზას? თუნდაც თებერვლის რევოლუციის შედეგად ნორმალური განვითარების, რეფორმისტული გზით ჩასეთი არ მიაღწივდა გაცილებით მეტი, და უმსხვერპლოდ? საბჭოთა დიქტატურა დაეპატროდა კაპიტალს, შრომას, ნაციონალურ სიმდიდრეს და განვითარებულ ტექნიკით და პოლიციურ მეთოდით გარავებს ქვეყანას ყოველგვარ კონტროლის გარეშე, არა ფრთხ მასების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არა-მედ მძიმე ინდუსტრიის საშუალებით თავის ექსპანსიურ პოლიტიკის გასატარებლად.

სინტერესობა აზრი ახალგაზრდა ისტორიკოსის ამალ-რიკის, რომელიც დღეს სიმართლის თქმისთვის კიმბირის ერთ-ერთ კონცლავერში იტანჯება. „ჩვენი ქვეყანა სპუტნიკების ქვეყანაა, ჩვენი რაკეტები ვენერას აღწევს, ხოლო იმ სოფელში სადაც მე ვცხოვრობ კართოფილს ხელით თხრიან“.

მეორე უფრო დამახასიათებელი ფაქტი, საბჭოთა სოფელს დღეს ტრაქტორი არ აყლია, მიწა ბომ შედამ ბევრი იყო. პირველ ომის წინ, როცა რუსის გლეხს ტრაქტორის სახელწოდებაც არ გაეგონა, რუსეთს ვაჭქონდა უცხოეთში 750 მილიონი მანეთის ხორბლეულობა, ახლა კი კანადითან შემოუტანია 450 მილიონი დოლარის, და რამდენიმე მილიონი დოლარის ამერიკიდან, ხორბლეულობა. მიმდინარე 1974 წელს, რუსეთი იძულებულია შემოიტანოს 5-6 მილიონი დოლარის პურეულობა. მიზეზი მუდამ ცუდი დარებია. საკვირველებაა, როგორ მოხდა რომ რომანოვების 300 წლის ბატონობის ხანაში, თითქოს არასდროს ყოფილა ცუდი დარები, ხოლო საბჭოთა მმართველობის 50 წლის მანძილზე ცუდამ ცუდი დარებია და ქარები!

აბა, როგორ შეუძლიათ გაამჟღავნონ რომ საბჭოთა კასოფლო-სამეცნიერო სისტემა გაკოტრდა, მას ვერაჯითარ ინდუსტრიალიზაციამ ვერ უშეველა.

დასავლეთ ქვეყნებში, ინდუსტრიალიზაციის გამოყენების პოლიტიკა მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღულობას, საბჭოთა დიქტატურის ხელში კი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ივი არის საბიფაოო, იმ ტეხნიკური მიწწვევებით, რომლებმაც წარმოშვეს გამანადგურებელი იარაღე-

ბი. ეჭვს გარეშეა, კაცობრიობის ბეღი ბეწვზე ჰერიდა, ომის განწყობილებას ქმნის ის ეინც აწარმოებს უქსპან-სიურ პოლიტიკას. თავდაცვის მიზნით თავისუფალი ქვეყ-ნებიც იარაღდებიან და ამგვარად, მეცნიერება, ტეხნიკა რომლებიც უნდა ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეო-ბას, მის ნივთიერ უზრუნველყოფას — სინამდევლეში ხდებიან ერთა გამანადგურებელნი. და ეს საშიშროება გაგრძელდება მანამ, სანამ ტეხნიკას, მეცნიერებას და სა-ერთოდ აღამიანის შემოქმედების ნაყოფის მოხმარსა არ დაეპატრონება ხალხი, სანამ არ მოისპობა დიქტატორუ-ლი მართველობის სისტემა.

ა. ბადრიძე.



ირაკლი ჭავათელის ძაღლის გახსნა ლევილში

1974 წელი 16 ივნისი.

სურათი, რომლის ქვეშ ქართულად არის წარწერილი: „ირაკლი (კაჯი) წერეთელი 1881 — 1959“ და, რომლის გვერდით ქართული სამფეროვანი დროშა ფრაალებს, ცოცხალი ყველიერით მორთული მუქი ფერის გრანიტის ძეგლს დასკურის. ეს ძეგლი იმითაც არის ლამაზი, რომ იგი ირაკლის პატივისმცემლებისაგან გაღებული თან-ხითაა აგებული, რომლის ირველივ დღეს შექმნებილა მრავალრიცხოვანი ქართველობა. აქ არის საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე და ვამგეობა. აქ არიან საგანგებოდ მოსული უცხოელებიც. მხოლოდ, ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა ამ მოწყობის სულის-ჩამდგმელი ქნი ნამეტია გოგუაძისა.

თუმცა სამხრობაა, მაგრამ ისეთი პაპანაქება სიცხე დგას, გეგონებათ შუალის ძლიერი სხივები „უაფირუ-ზიდან“ „ხმელეთ ზურმუხტზე“ ეშვებოდეს. ძეგლის გახ-სნისას ქართული გუნდის ტკბილი გალობა ედესა ლამა-ზად გამშვენებულ სასაფლაოს, რომლის დიდი ნაწილიც უცხოეთში დაკარგულ ქართველ პატრიოტებს უჭირავთ.

პირველი სიტყვა მოძლვარმა ილიამ წარმოსთქვა ფრან-გულ ენაზე და თავისი დინჯი, მაგრამ გრძნობიერი და წთაშბეჭდავი მეტყველებით დაახასიათა ირაკლი წერე-

თელი, როგორც „სიმართლისა და სოციალური სამართლიანობისთვის თავდადებულ ბრძოლაში ამაღლებული დიდი ქართველი“.

მეორე ორატორი, მიხეილ ხუნდიძეც ფარნგულად ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ ირაკლი წერეთელს „შეუსრულდა მისი უკანასკნელი სურვილი: „ქართველები დამმარხავენო,“ რომ სინამდვილეში ივი, დღეს ქართველების მიერ ქართულ სასაფლაოზე დაიკრძალა. შემდეგ ორატორმა განავითარა აზრი, რომ ირაკლის საკაცუობრივ ბრწყინვალე იდეები საკუთარი სამშობლოს სიყვარულისაგან მომდინარეობდენ და მოხდენილად გადაშალა განსვენებულის მიერ მთელი სამოცი წლის პოლიტიკური მოღვაწეობით დატვირთული სურათი. გაგვაცნო როლი, რომელიც ირაკლიმ დიდებულად შეასრულა მოსკოვის სტუდენტთა მოძრაობის სათავეში, მეორე დუმის ოპოზიციის მეთაურობის დროს, კატორჩა-გადადასახლებაში, თებერვლის რევოლუციის ხელისძლვანელობაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში, დამცუნებელი კრების დელეგაციის საზღვარგარეთ მუშაობაში, მუშათა ინტერნაციონალში და ემიგრაციაში... ეს ვებერთელა თემა, უკეთ ვთქვათ მრავალი თემა, ნიჭირი ორატორის მიერ უდიდესი ემოციებით იქნა გადმოცემული, რასაც, მიუხედავად ძლიერი სიცხისა ყველა გულმოდგინებით უსმენდა.

ბოლოს სიტყვით გამოვიდა ეროვნული მთავრობის წევრი ნოე ცინცაძე, რომელმაც ლრმაშინაარსიანი სიტყვით დახატა ირაკლის პოლიტიკური პიროვნება და გადმოვცა მისი მოღვაწეობა, როგორც ქართულ ეროვნულ ფარგლებში ისე რუსეთისა და ინტერნაციონალის ასაპარეზზე. ირაკლის საპატივცემულო დღისთვის, მისი საბოლოო სიტყვა, მართლაც რომ ლირსეული დაკვირის უყველა გულმოდგინებით უსმენდა.

შემდეგ პოეტმა დ. ყურულაშვილმა ირ. წერეთალეზე მიძღვნილი თავისი ლექსი წაიკითხა.

დაცუნებული სხივებით ზედმეტად რომ არ ღავსჯილიყავთ, ამიტომ ვერც გოგი წერეთელმა წაიკითხა თავისი სიტყვა და, ვერც მარტიან მგელაძემ — ირაკლის სირყმისდროინდელი დაწერილი ლექსი.

მაგრამ, ქართველები ამ შეხვედრით მაინც ვერ დაას-
 რულებდენ ირაკლიზე ლაპარაკს — იგი სამარადისოთ
 გაგრძელდება...

ასეთი შთაბეჭდილებებით გამოეთხოვენ პატივისმცემ-
 ლები ირაკლის ძეგლს და, ამ უამრავ საამაყო ქართვე-
 ლების საფლავთა შორის, ორი პირისპირ ივებულა ძეგ-
 ლი დარჩა, საიდანაც ორი კეთილშობილი სახე —
 ნოე ეორდანიასი და ირაკლი წერეთელის — ერთმანეთს
 შესკერიან.

ესენი ხომ დიდებული მასწავლებელი და მოწაფე
 იყვნენ, შემდეგ სამაგალითო თანამებრძოლები და ბოლოს
 ლირსეული მოკამათები!..

დიახ, კამათობდენ იმიტომ, რომ ქართველებისათვის
 უმჯობესი გამანთავისუფლებელი გზა ეჩვენებინათ.

მ. მელუა.

გმირი მეგძლივ ხსოვნას

გარდაცვალების 20 წლისთავზე.

20 წელია, რაც დაგვშორდა გმირი — მცბრძოლი
 ვალოდია გოგუაძე. ნათქვამია: ზოგი მკვდრები უფ-
 რო ცოცხლობენ, ვიდრე ბევრი ცოცხლებიო. რადგან
 მათი ხსოვნა ჟამთა ულევ დენაში დავიწყებას არ ეძღე-
 ვათ. სწორედ ასეთ როტხეს ეკუთხნის ვალოდია გოგუა-
 ძე, იგი ლეგენდარული პირვნებაა, რომელიც თითქოს
 მოცემულია ძევლი საბერძნეთის გმირულ პათოსით გაე-
 ლენთილ ეპოქიდან.

მისი მძაფრი გრძნობა და მახვილი გონება ბუნებისაგან
 მინიჭებულ ენის შეტყველებას ამკობდა. უსამართოლობის
 წინააღმდეგ ამხედრებულ სულს დინამიურ გაქანებას
 აძლევდა, უშიშარი ნებისყოფით მუდმივ ბრძოლის ქარ-
 ტებილში იწევედა. სადაც მან პოვა თავისი ცხოვრების
 დანიშნულება ეკლიან გზაზე სავლელად...

მისი გმირული თავდადების ეპიზოდები გაგრძელებაა
 ძველი მამა-პაპათა თავგანწირული ბრძოლებისა, სის-
 ხლით დაწერილ ისტორიის ფურცელს რომ დაამ-
 შვენებს...

ბოლშევიკებმა სახალხო მოძრაობის აღწერაში გუ-
 რიის ეპოსიც შეიტანეს, მხოლოდ ვალოდია, სერგო და
 თეოფილე იქიდან ამორიცხეს. დამალვით ფიქრობენ

ისტორიის გაყალბებას. გურიის ხალხის ჭირისუფალთა რიცხვში, ვალოდია და მისი თანამებრძოლნი პირველ აღ-გილს დაიჭირენ...

ხალხის მტრებმა მისი ფიზიკური მოსპობა განიზრახეს. თუ თვითმშეკრიბელობის პოლიციამ ვერ შესძლო, სოფ-ლის ყჩაღებმა შესძლეს მისთვის ფიზიკური ტკიფოლების მიყენება, მაგრამ ამით ნებისყოფა ვერ გასტეხს, იარაღი ხელიდან ვერ გააგდებინეს.

ვალოდია ყავარჯენით შესვდა საქართველოს დამოუ-კიდებლობის აღდგენას, მის განახლებულ ცხოვრებას და თავის ცეცხლისიებურ ენერგიით ჩადგა ახალ დაფუძნე-ბულ სახელმწიფოს დამკველთ წინამდლოლთა სათავეში. ფასდაუდებელია, განუსაზღვრელია ამხრივ მისი დამსა-ხურება ჩვენი ქვეყნის წინაშე. მას დასვენება აღაო ღირ-სებია; თავისუფლება ახალშობილ ბავშვიერი გულში ჩაი-ხუტა, მისი სიყვარულით აინთო. მისი ჯაეშნოსანი ქვე-ყნის მტრებს თავზარს სცემდა. თავის საკუთარ ძებითა და რჩევულ ვაჟეაცთა რაზმით, ერთი კუთხიდან მეორეში ელვის სისწრაფით ჩნდებოდა და მოზღვავებულ მტერს მუსრს აელებდა...

ვალოდია. ხშირად, ლექსებსაც სწერდა: ლტოლვილო-ბაში თავის პოეტური აღმაფრენით ხალხური სიტყვე-ბით ხიბლავდა და იმედს აძლევდა მის გარშემო მყოფ მეგობრებს. რასაკვირველია მის ლექსთა ოქმა მართლოდ და მხოლოდ ბრძოლის ეპიზოდები იყო, ამით ივი ცლო-ლიავებოდა წარსულს, აწმყოში თავისუფლების გრძნო-ბათა გასაღვიძებლად. მისი ბიოგრაფი გადმოგვცემს, ვიშინსკი, რომელიც მას იცნობდა ბაქოდან, მოუსურვე-ბია მისი ნახეა, ვალოდიას პასუხი ასეთი ყოფილა: „ხალხის მოღალატეებთან სალაპარაკოდ მე პხოლოდ ტყვია მაქესო“-ო. ეს პასუხი მთელი მისი გმირული მოლ-ვაწეობის აპოთეოზია, უკანასკნელ წუთამდე ჩაუქონდე-ლი ცეცხლია ხალხის მტრების წინააღმდეგ საბრძოლვე-ლად გამზადებული. მხოლოდ სიკვდილმა ჩააცხრო ეს გუ-ლის ღელვა და ბრძოლის ეინი; უცხო მიწამ გაულო პირი ქართული სოფლის წიაღიდან შობილს, სიმართლის, ჭაშ-მარიტების და თავისუფლებისთვის ბრძოლაში გმირად ქცეულს.

მისი სახელი ბრწყინვალე ასოებით ჩაიწერება წამე-ბულ ერის ისტორიაში.

3. ს.

30სთვის იუო ეს საჭირო?

„ქართული აზრის“ 95 წლებრში, უცნობი ავტორი უსაყვედურებს და დანაშაულად უთვლის ჩეენს პოეტს, გიორგი ყიფიანს, რომ დიდი ილიას გვერდით მოიხსენია საქართველოს პრეზიდენტი ნ. უორდანია, და დახეთ თურმე ასეთი საქციელი პოეტს არ ეპატიება. თვალებს არ გინდათ დაუჯეროთ.

ქართველი ერის სასიქადულო აღამიანი ილია იბრძოდა ჩეენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, რათა საბოლოოდ განხორციელებულიყო მოხევის სიტყვები: „ჩეენი თავი ჩეენვე უნდ გვეყუდნეს“— მას არ დასცალდა თავისი თვალით ენახა თავისუფალი სამშობლო, ლაზირულმა ტყვიამ განგმირა დიდი აღამიანის გული და დააობლა ქართველი ერი... ბრძოლა გააგრძელა მომდევნო თაობამ, რომელსაც მეთაურობდა ნ. უორდანია.

დიდი ილიას ოცნება აღსრულდა ნ. უორდანიას პირით. ამ უკანასკნელს ისტორიამ არგო საქარ-ლოს დამოუკიდებლობის გამოტაცება. აქედან ამ ორი აღამიანის ერთად ხსნება და ერთი მეორეს გვერდით დასმა ისტორიულად მოცემულია... ძეველი დავის განსკნება, საეგვირ და შეუმოწმებელი ნათქვამის განმეორება ქართულ საქმეს მხოლოდ ენებას მოუტანს — არავითარ სარვებელს...

რაც შეეხება პ. სარჯველაძის წერილის შინაარს, ყველა ქართველი, რომელიც პარტიზანულად არ არის განწყობილი, გაიგებდა, რომ ს. დ. პარტიის დროშაა, თავისუფლება ერის, თავისუფლება აღამიანის. ამ იდეებისთვის ბრძოლას მიყევართ, ეროვნული თავისუფლების მოსაპოებლად. მაგრამ, აქ უცნობი ავტორი ეჭვიანობს, ამას როგორ განახორციელებენ — პარტია მარქსისტულიაო. მას ან მეხსიერება დალატობს, ან დაბადებული არ იყო, როცა ს. დ. პარტიამ, დამოუკიდებლობის ხანაში დაატექცია ამ იდეებისაღმი ერთგულობა. მისი თაოსნობით (ტადია სხვა ეროვნულ პარტიებთან ერთად) ჩამოაყალიბა ისი ნი კონსტიტუციაში რაც სამაყოდ რჩება ქართულ ისტორიაში და გადაეცემა თაობიდან თაობას...

„ქართულ აზრის“ თანამშრომელს კი, უსათუოდ სურს ს. დ. პარტია დიქტატურის ბანაკში მოათავსოს.

არც რუსეთში დამყარებულა „პროლეტარიატის დიქტატურა“, რომც იყოს — ერთი კლასის დიქტატურა ჩვენთვის მიუღებელია, არამედ ტოტალიტალურ—პოლიციური, სასტიკი ცენტრალისტური რეჟიმი. მარტინზე-მი დარჩა ეკონომური ფილოსოფიის დაუშრეტელ წყაროდ, რომელსაც არ უარყოფენ თვით ბურჯუაზიული თეორეთიკოსები. ცხადია, დღევანდელ უმაღლესად ტეხნიკურ განვითარების ხანაში ბევრი რამ ცხოვრებად ვერ გამართლა იმ თეორიებიდან, რომლებიც შეიქმნა ერთი საუკუნის უკან... სოციალისტურ აზროვნებაში შოხდა ეკონომიკია, რის შესახებ ჩვენ შევეცდებით სხვა ადგილას განვმარტოთ..

რაც შეეხება, თითქოს ჩვენი ეროვნული ღირსების დამცირება იყოს თქმა იმისი, რომ ს. დ. პარტიამ გააერთიანა საქართველოს მასებიო... განა ნ. უორდანია თვით ამ აღმარებს: „ჩემი მთავარი მიზანი იყო რეჟიმის დამკვიდრება მომხდარიყო, მთელი ერის თანაგრძნობით, ყველა ჭრის შერიგებით, სოციალური და ნაციონალური თანამშრომლობით“. (იხ. ნ. ე. „ჩემი წარსული“.) შეიძლება საჭიროებასაც არ წარმოადგინდეს, ზოგიერთ რამე, ძაგლამ მყითხველს გვსურს მაინც შევახსნოთ, თუ რას წერდენ ნ. უორდანიაზე და ს. დ. პარტიაზე გამოჩენილი პირები, არა სოც. დემოკრატები.

ჯერ კიდევ პირველ ხანებში „დროებაში“ გრ. ყიფში-ძე აღნიშნავდა: „ბევრს პეონია საქართველოს ველარია იხ-სნის ა, მაგრამ ვინც მის ცხოვრებას აკვირდება, ის შეამჩნევს მის სილრმეში დიდ დულილს, რომ ჩნდება ახალი ძალა, იბადება ხალხი ძლევამოსილი და ამ ახალი ძალის მეთაურია ნ. უორდანია, რომელიც შემოიჭრა ცხოვრების ასპარეზზე, როგორც მხსნელი გრიგალი და ვააჩალა მძლავრი ხალხური მოძრაობა“-ო.

ჩვენი პარტიის ისეთი მოწინააღმდეგე, დიდი პატრიოტი, აღ. ასათიანი ისიც კი აღიარებდა, თავის ცნობილ წიგნაკეში, რომ ს. დ-ტიამ გააერთიანა მასებიო და სხვ.

ბ-ნი გ. კერძესელიძე, „მებრძოლ საქართველოში“ წერდა: „თუ ილია უგვირგვენო მეფე იყო, ბედმა ქართლისამ ნოეს შუბლს დაადგა მძიმე გვირგვინი სრულიად საქართველოსი“.

რ. ინგილო, იმავე უურნალის მე 9 ნომერში აღნიშნავდა: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის საჭირო გახდა შინაგანი, ასე ვთქვათ, სკეპტიკიზმის გადალახვა და გარეგანი დაბრკოლებებთა გამამხნევე ბელი უგულებყოფა, ეს ორივე დასძლია ნ. ეორდანის ავტორიტეტმა, ნოე ეორდანია რომ არ ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებ ვერც კი განეცხადებია“-ო.

აი როგორ ადასტურებს ერის გაერთიანებას, პოლფ. მიხ. წერეთელი, (იხ. „ბედი ქართლისა“ №14, 1953) „ნოე ეორდანიამ და მისმა თანამოაზრებმა პირველად დარაზმეს განსაზღვრული სოციალური, პოლიტიკური იდეალების მქონე ქართველობა: მუშები, ვლეხები, ინტელიგენცია. თვით თავადაზნაურობის მოზრდილი ნაწილიც შედიოდა მათგან შექმნილ სოც. დემ. პარტიაში, ეს იყო დიდი საქმე, მათგან შექმნილი, მაშინდელ მძიმე პირობებში. მე არ ვიცი ვინ შესძლებდა ნ. ეორდანის გარდა მაშინდელ პირობებში დამოუკიდებლობის გამოცხადებას; რომელი იმაზე უფრო ნაციონალისტი, არა სოციალისტი, ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებლობის არსებობა, თუ ამას არ იწამებდა ნ. ეორდანია და მისგან ხელმძღვანელი მურომელი მასები“-ო.

„მომავალი მემატიანე ჩასწერს, რუსეთის მიერ გუბერნიად ქეცული სახელმწიფო კვლავ აღსდგა და დამოუკიდებელი იქმნა 1918 წ. 26 მიასს, მისი პრეზიდენტია იყო ნ. ეორდანია“. (იხ. აკ. პაპაგა „მ. საქ.“)

ხოლო „ბედი ქართლისა“-ში № 14 1953 წელში ცვენმა ცნობილმა პოეტმა და დიდმა მოაზროვნებ ვრიგოლ რობაქიძემ ასე აღნიშნა: „არ ვიცი ლოცულობს თუ არა ნ. ეორდანია, მაგრამ ის კი ვიცი საქართველო ნოე ეორდანიაზე ლოცულობს“-ო.

მიმდინარე წლის თვეებში საქართველოში, (იხ. „კომუნისტი“-ს ნომრები) შევარდნაძეებმა განაახლეს ს. დ-ზე და ნ. ეორდანიაზე თავდასხმა. ჩვენ მას უკასუხეთ ჩვენი პარტიის 80 წლისთვის აღნიშნით და დავანახეთ, რომ ჩვენ იარაღი არ დაგვიყრია და მომავალშიც არ ვაპირებთ, რასაკვირველია სხვა პოლიტიკურ პარტიებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, რომლებიც არა

ჩვენზე ნაკლებ იბრძეიან... დღიდან საქართველოს დაპყრობისა, უაზრობაა პარტიულ პროპაგანდის წარმოება. ჩვენი შეხედულება მუდამ ერთი იყო; ნაციონალურ ფრონტზე დარაზმეა ყველა ეროვნულ ძალებისა, და ბრძოლა ჩვენი ერის მტრებთან, დამპყრობელებთათ.

აღდგენა საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი სუვერენობის. დავიწყება ძველი დავის, — ზარალის მეტი რომ არაფერი მოუტანია. აკადემიური ხასიათის კამათი ამა თუ იმ რევიმის შესახებ დასაშვებია.

თითეულ პოლიტიკურ მიმართულებას, დიალაც აქვს თავისი შეხედულება თუ რა წყობილებაა ერისაოვის უკეთესი.

მაგრამ თუ რა წყობილებას დაამყარებს მომაცალში ქართველი ერი, ეს მისი საქმეა...

დასასრულ იმედს გამოვთქვამთ რომ „ქართული აზ-რი“-ს ხელმძღვანელი ბ-ნი მ. სინდიკელი დარიგებას მისცემს მომავლისთვის უურნალის ქრონიკორს, რათა მეტი სერიოზულობა და პასუხისმგებლობა გამოიჩინოს.

ვიანგულ პრესაში

ფრანგულ უურნალ „ევროპ — პარლამენტ“ № 56, 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ქ-ნი სუზან ლაბენი, ბურვალე სიტყვებით აღწერს ჩვენი ეროვნული დღესასწაულის მნიშვნელობას; ახსენებს ფრანგ მკითხველთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, მისი აღმშენებლობის ზოგიერთ ფაქტებს, შემდეგ რუსეთიდან მის დაპყრობას.

— : —

სოციალისტურ უურნალ „პრეზანს სოციალისტ“ № 35. რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი სოციალისტი ბუტბიენი, ესალმება ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს. აღნიშვნავს მოსკოვიდან ჩადენილ ბოროტებას საქართველოს დაპყრობის გამო. აღნიშვნავს აგრეთვე ქართველ სოციალისტების როლს დამოუკიდებლობის ხანაში. : 924 წ. აჯანყებას. ქართველი ერის გარდაუვალ სურვილს ეროვნული თავისუფლების აღსაღვენად.

ს.—დ. პარტიაში.

ამა წლის 23 ივნის პარტიის ს.დ. ირგანიზაციაში კ. ჩუბინიძემ გააკეთა მოხსენება ს. დ. პარტიის წარსულ მოლვაწეობაზე, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი.

ორატორებმა აღნიშნეს მოხსენების მრავალშინარსიანობა და უსურვეს ჩვენ მცხოვან მემრძოლს დღვევრძელობა.

ჩვენი უურნალი უკვე აწყობილი იყო რომ ვავაგეთ ჩვენი ამხ. გოგი კორდანიას გარდაცვალება.

დავკარგეთ კარგი ქართვლი, ქართული საქმის ერთგული აღამიანი.

† ალექსანდრე ასათიანის გადმოსვენება ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ამა წლის 17 აგვისტოს, ს. ლევილის ძმათა სასაფლაოზე ჩამოსვენებულ იქნა გერმანიიდან ალ. ასათიანის ნეშტი, რასაც ულრმესი პატივისცემით აღვნიშნავთ ამ თავდადებულ მამულიშვილის, საქ. დამფუძნებელი კრების წევრის, სამშობლოს თავისულფლებისთვის მედგარ მებრძოლის, ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ერთი ბელმძღვანელთაგანის ქართველ ძმათა სასაფლაოზე მოსვენებას.

მრავალრიცხვანმა ქართველობამ დიდი პატივისცემით და გრძნობით მიაყარა სამშობლოდან ჩამოტანილი მიწის პეშვი ლირსეულ მამულიშვილს. სიტყვა წარმოსოქვა ბ-ნმა სევერიან ჭირაქაძემ რომელმაც ლირსეულად დაფისა განსვენებულის მოღვაწეობა.

† მიხეილ დადიანი (1898 — 1974)

არლინგტონში, ვაშინგტონის ახლოს, გარდაიცვალა ოვალსაჩინო მოლვწე და მებრძოლი მიხეილ დადიანი.

მან დაასრულა ქართული ვიმნაზია და შევიდა იუნკერთა სასწავლებელში, თბილისში. იბრძოლა სხევებთან ერთად კოჯორიდან ბათუმაშვე და ევაკუაციის წესდევ მსახურებდა როგორც ოფიცერი პოლონერ ჯარი, — შემდევ ცხოვრობდა პარიზში, სადაც იგი პოლიტიკურად მოღვაწეობდა. მერიკაში გადასახლების შემდევ შუმაობდა „ვოის ოფ ამერიკის“ რედაქციაში და ემსახურებოდა ქართველ ხალხს სწორი ცნობების მიწოდებით.

უკი წერდა ლექსებს და ბეჭდავდა პარიზულ ემიგრანტულ პრესში და იყო უურნალი „კავკასიონის“ თანამშრომელი, მას არ დაუგდია კალამი სიკვდილამდე.

ემიგრაციას გამოაკლდა მ. დადიანის სიკვდილით, ერთი მომქმედი მოღვაწე და მტკიცე მეტრძოლი.

„ჩვ. დროშის“ რედაქტია ლრმა თანავრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახობას, მის ნათესავებს და მეგობრებს.

ეროვნული დღესასწაული უცხოეთში

უცხოეთში მყოფი ქართველობა, ყოველ-წლიურად იხდის ეროვნულ დღესასწაულს. ამით ანსენებს უცხოელთ ქართველი ერის მოთხოვნილებებს და იქ, სამშობლოში ამხნევებს მათ, რომლებსაც უცხო ძალამ პირზე კლიტე დაადო და თავის სურვილის გამოთქმის საშუალება მოუსპო.

პარიზი

წელს პარიზის ერთ-ერთ, ეროვნულ ღროშით და ქართული ღერბით მორთულ დარბაზში დიდი ზემით აღნიშნულ იქნა დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი. სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნ ლ. ზურაბიშვილმა ქართულ და ფრანგულ ენაზე დამსწრეთ მიმართა ამ დღისთვის შესაფერი სიტყვით. აღსანიშნავია ცნობილ უურნალისტ მეტრძოლი ქ-ნ სუზან ლაბერის მისალმება ქართველების მიმართ, აგრეთვე ბ-ნ დე ვილმარსტის და ჩევრი მუდმივ შეგობარის, რემონდ ლე ბურის მისალმებანი.

უკვე ცნობილია ჩევრი ახალგაზრდობის მიერ ხალხური სიმღერების და ცეკვების ჩინებულად შესრულება, რითაც წელსაც დიდათ ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება. აღსანიშნავია ჩევრი ნიჭიერი ქალიშვილის რუსულან სტურუას მიერ ზეპირად წარმოთქმული ტიკიან ტაბიძის ლექსი: „მაშ გამარჯვება“ და სხვ.

დამსწრე.

ს თ შ თ.

სოშოს ქართულ სათვისტომოს გამგეობამ გამსაკუთ-
 რებული შინაარსით გადაიხადა 26 მაისის, ეროვნული
 დღესასწაული. საზეიმოთ მორთულ დარბაზში, რომელ-
 საც ამშვენებს ეროვნული დროშა, ბელადების და პოეტე-
 ბის სურათები, კედელზე წარწერები: „გაუმარჯვეს
 26 მაისს!“ „დიღება ქართველ ერს!“ საზეიმო სხლომას
 ხსნის სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნი სევერიან ჭირაქა-
 ძე, რომელმაც თავის შინაარსიან სიტყვაში აღნიშნა 26
 მაისის მნიშვნელობა და ის სოციალურ-ეკონომიკური რე-
 ფორმები, რომელიც გატარებული იქნა დამოუკიდებ-
 ლობის ხანაში. მხურვალედ მიესალმა 6. უორდანიას სსოფ-
 ნას, რომელსაც წილად ხვდა საქართველოს დამოუკიდებ-
 ლობის გამოცხადება. სიტყვები წარმოსთქვებს პა-
 რიზიდან სტუმრად ჩამოსულმა 3. სარჯველაძემ, შემდეგ
 მ. ელენტმა და ი. სალუქვაძემ. დამსწრეთ მკერდის უმშვე-
 ნებდა პატარა ეროვნული დროშით, ჩენი მევობრის ი. სა-
 ლუქვაძის შეილისშეილი, მალხაზი პატრიცია.

სხდომის შემდეგ გაიმართა ქართული სუფრა, რო-
 მელსაც დაესწრენ ფრანგი და პოლონელი მეგობრები.
 თამაღამ ბ-ნ ბაგ. ქავიაშვილმა თავის მერძნობიარე სიტ-
 ყვაში გაიხსენა 26 მაისის ოლდენისთვის დალუპულ მა-
 მულიშვილთა ხსოვნა, რაც ფეხზე აღვომით მოსმენილ
 იქნა და ააზი გაუსვა პრეზიდენტ ნოე უორდანიას
 დამსახურებას.

დასასრულ, ჩენმა პოეტმა დ. ქიმერიძემ აღფრთოვა-
 ნებაში მოიყენა საზოგადოება თავისი ლექსის წაკითხ-
 ვით. სიამოენებით მოსმენილ იქნა აგრეთვე შ. ზედ-
 გინიძის მიერ წაკითხული ლექსი.

სოშოს ქართველთა საზოგადოებამ, როგორც წარსულ-
 ში, წელსაც დაამტკიცა თავის ერთგულება სამშობლოს
 მიმართ და ეროვნულ თავისუფლების აღდგენის შეურ-
 გეველი სურვილი.

ი. ბაზველი.

•••

პატივისმცემლებმა ითავეს ნეტარხსენებული ირაკლი წერეთელის ამერიკიდან ლევილის ქართულ სასაფლაოზე გადმოსვენება და მას აქ ძეგლი აუგეს. ამის მომწყობი კომისია დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკირო თანხა მცირე დროს განმავლობაში დაგროვდა და დაიფარა გაწეული ხარჯი 10.500 ფრანგი. გადარჩეხილი 800 ფრანგი კი, ლევილის ქართული სასაფლაოს მშრუნველს, ქ-ნ ნამეტია გოგუაძისას გადაეცა.

აქვე ვაქევანებთ შემომწირველთა სიას.

| | | |
|---|--------------------|-------------|
| ქ-ნი ბურგინა — 3.760 ფრ. | — მ. ხუნდაძე | 1.240 ფრ. |
| მ. მგელაძე — 1.200 ფრ. | — მ. მელუა 450 ფრ. | — |
| † დ. ბუაჩიძე 400 ფრ. | | სულ — 7.050 |
| 350—350 ფრ.: ნ. გოგუაძისა, ნ. ყურულაშვილი — 700 | | |
| 300—300: აკაკი ასათიანი, დ. ყურულაშვილი — 600 | | |
| 200—200: კლ. კემულარია, ნ. ცერცვაძე .. . 400 | | |
| 150—150: გ. უჩაძე, ალ. ფანჩულიძე ქ. ჯაყელი — 450 | | |
| 100—100: „სოც. აზრი“, ირინე ანთაძისა ნ. ცინცაძე | | |
| ლ. ზურაბიშვილი, გ. ყიფიანი, გოგი წერეთელი, | | |
| † მ. ცაგარელი, აკ. შავგულიძე 800 | | |
| 50—50: ლ. აბდუშელი, გრ. აბულაძე, ძმები ანთაძე, | | |
| გ. ასათიანი, გრ. ბარამიძე, ნ. ბედელაძე, გ. ბოლქვაძე | | |
| ჯ. გრიგოლაშვილი, ძმები ლონდუა, ქრ. იმნაიშვილი | | |
| 3. ინწურველი, გრ. ლომაძე, ალ. მელქაძე, | | |
| ინ. პატუაშვილი, ვლ. რუხაძე, პავ. სარჯველაძე, | | |
| კვ. ჩხაიძე, გრ. წერეთელი, ვ. ჭელიძე, ვიქ. ხომერიკი. | | |
| ვინმე | სულ | — 1050 |
| 30—30: ვიქტორ ნოზაძე, დავ. უორდანია .. . | | — 60 |
| 20—20 † მიხ. დადიანი, მ. მიმინოშვილი, ტ. წულაძე | | |
| არ. მჭედლიშვილი, ვალ. ჩუბინიძე ჯაბა ხაბულიანი, | | |
| სულ — 60 | | |
| 10—10: ქ. ალშიბაია, ალ. კარგარეთელი, ლ. ფალავა. | | |
| ა. გამსახურდია, გრ. კერესელიძე, ა. კინწურაშვილი, | | |
| სონია | სულ | — 70 |
| | სულ | — 11.300 |

ՄԱԿԱՀԱՆԱԿԱՆ ՑՐԵՆՈ

Մակահանական ցրենու մասին պատճենը կազմված է Արքայի կողմէ 1920 թվականի մայիսի 20-ին և պահպանվում է Արքայի պատճենահանձութեան մասին պատճենու հետ միասին:

ԹԱՅԹԱՅԹՈՒԹՅՈՒՆ ՏԵՍ

| | |
|------------------------|-----|
| Մեջոծարո | 140 |
| Հ. Օնասահոնդյ | 100 |
| Յ. Օնթյունը Վելո | 100 |
| Ա. Մելքյանդյ | 100 |
| Շ. Ճավառը | 100 |
| Հ. Օմենան Մշուլո | 50 |
| Վ. Զահարոնդյ | 50 |
| Հ. Զահարոնդյ | 30 |
| Հ. Հոյսամանդյ | 30 |
| Յ. Լածանդյ | 30 |
| Ե. Թափայանոն | 20 |
| Գ. Ցրոցունան Մշուլո | 20 |
| Ը. Շալավա | 20 |
| Ց. Կոբոնդյ | 10 |
| Շ. Քեցգոնդյ. Խոմուճան. | 10 |

Ուղարկութեան ժամանակակից պատճենը պահպանվում է Արքայի պատճենահանձութեան մասին պատճենու հետ միասին: